თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №56
2026 წლის 12 ივნისი

ქ. თერჯოლა

,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №9 დადგენილებაში (ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 02/02/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.126.016252) შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებული იქნეს დადგენილების დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

2. ამოღებულ იქნეს დადგენილების დანართის მე-7 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 17 ივლისიდან.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **სოსო ჩაფიჩაძე**